დამტკიცებულია
ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი“ დირექტორის
2019 წლის 29 აგვისტოს N274 ბრძანებით
ცვლილება: ბრძანება N01-4/144 (04/10/2024)

ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი“

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“ (შემდგომში - ,,კოლეჯი“) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, განსაზღვრავს და არეგულირებს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და თანამშრომელთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის წესებსა და პროცედურებს.

მუხლი 2. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი

1. კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების ოთახი, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორის მიერ დანიშნული თანამშრომელი - მედდა.
2. მედდა უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი ზომების გატარებას.
3. კოლეჯი უზრუნველყოფს სამედიცინო ოთახის აღჭურვას პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი ინვენტარით/მედიკამენტებით. მათი ვარგისიანობის (ვადა, შენახვისათვის დადგენილი წესების დაცვა და ა.შ) შემოწმების კონტროლს ახორციელებს კოლეჯის მედდა.
4. კოლეჯის ყველა აუდიტორიაში და სასწავლო სახელოსნოში, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და დასაქმებულ პირთათვის თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია კოლეჯის მედდის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.
5. სატელეფონო შეტყობინებას პროფესიული სტუდენტის შეუძლოდ ყოფნის თაობაზე ახორციელებს აუდიტორიაში მყოფი მასწავლებელი ან მისი დავალებით რომელიმე სტუდენტი/მსმენელი.
6. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომელიც სცილდება მედდის კომპეტენციის ფარგლებს, მის მიერ გამოძახებული იქნება სასწარაფო სამედიცინო დახმარება და გატარდება შესაბამისი ზომები.
7. მედდის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია თანამდებობრივი ინსტრუქციით;

8. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და თანამშრომელთა პირველადი სამედიცინო დახმარების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, კოლეჯი უზრუნველყოფს:

ა) სამედიცინო ინვენტარის, ასევე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარის შეძენას/განახლებას;

ბ) სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვას;

გ) თანამშრომელთათვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფას.

მუხლი 3. დასკვნითი დებულებანი

წინამდებარე წესის დამტკიცება, ძალადაკარგულად გამოცხადება, ასევე მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.